



აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის  
რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული  
განვითარების ჯგუფი (RMCBU)

EuropeAid კონტრაქტი № 2010/255-219

საქართველოში კულტურის სფეროს და კულტურის  
პოლიტიკის შესახებ საბაზისო ანალიტიკური  
ანგარიშის  
დანართი

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკის  
კვლევა და დიაგნოსტიკა

ეს ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის  
რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფის მიერ.

2015 წლის იანვარი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა ევროკავშირის დახმარებით. ანგარიშის შინაარსზე  
პასუხისმგებელია მხოლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის  
რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი. ის  
გამოხატავს მხოლოდ ანგარიშის დამწერი ექსპერტების მოსაზრებებს და არავითარ  
შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკომისიის მოსაზრებებს.

RMCBU პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ Deutsche Gesellschaft für  
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH-ის ხელმძღვანელობით, HYDEA S.p.A.  
(იტალია) და RWTH Aachen University (გერმანია) -თან პარტნიორობით.

## წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში კულტურის სფეროსა და კულტურის პოლიტიკის შესახებ საბაზისო ანალიტიკური ანგარიშის დანართს, რომელიც მოამზადა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფმა (RMCBU) 2012 წლის აგვისტოს თვეში და რომლის განახლება მოხდა 2013 წლის იანვრის თვეში. ანგარიში გამოქვეყნდა პროგრამის ვებ-გვერდზე (<http://www.euroeastculture.eu/en/database-of-materials/view-georgia-analytical-base-line-report-on-the-culture-sector-and-cultural-policy.html>).

დანართში ასახულია ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში 2012 წლიდან. ამ ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფი და მასში ასახულია ამ ანგარიშზე მომუშავე კონსულტანტების მოსაზრებები. დოკუმენტი მომზადებულია ქ-ნ მაკა დვალიშვილის და ქ-ნ მანანა თევზაძის მიერ (RMCBU ექსპერტები) ბ-ნი ლუჩიანო გლორის (RMCBU ჯგუფის ხელმძღვანელი) და ქ-ნი ტეტიანა ბილცკას (RMCBU ორგანიზაციული განვითარების ექსპერტი) მონაწილეობით.

2013 წლის დასაწყისში RMCBU-მა გამოაქვეყნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკისა და ტენდენციების რეგიონალური კვლევითი ანგარიში და საქართველოში კულტურის სფეროს და კულტურის პოლიტიკის შესახებ 6 საბაზისო ანალიტიკური ანგარიში. ეს ანგარიშები გათვლილია ფართო აუდიტორიაზე, მათ შორის კულტურის დარგში მოღვაწე ყველა დაინტერესებულ მხარეზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირში. ეს დოკუმენტები არის შედგენილი *აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურის პოლიტიკის კვლევისა და დიაგნოსტიკისა*, რომელიც ჩატარებულ იქნა RMCBU-ის მიერ 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანაში: აზერბაიჯანში, ბელორუსში, მოლდავეთში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში. ამ კვლევების ობიექტებში მოექცა ზემოაღნიშნული ქვეყნების ეროვნული კულტურის პოლიტიკა და ისინი პრაქტიკულად მიმართული არიან სტრატეგიული ხელმძღვანელობის გასაწევად აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამისათვის და რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფის საქმიანობისათვის. RMCBU-ის მიერ თითოეული EaP-ის ქვეყნისათვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა კულტურულ სფეროში არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად. ზემოაღნიშნული სისტემა ძირითადად ეფუძნებოდა ქვეყნების სპეციფიკური პოლიტიკის კონცეფტუალურ შედარებით ანალიზს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომელთა გამოყენება ხდებოდა RMCBU-ის მიერ ექვს ადგილობრივ ექსპერტთან თანამშრომლობით და უცხოელი ექსპერტის ხელმძღვანელობით. ანგარიშების მომზადებამ, გამოქვეყნებამ და შემდგომმა პოპულარიზაციამ მოახდინა შენიშვნების და რეკომენდაციების მიღება პროგრამის მონაწილე და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან, რამაც წარმოქმნა დებატები EaP-ის და სხვა ქვეყნებში არსებულ კულტურის პოლიტიკის საკითხებზე. უდაოა, რომ პროგრამის განხორციელების პერიოდში გამართულმა დიალოგებმა კულტურის პოლიტიკის საკითხების შესახებ ხელი შეუწყო კულტურის უფრო ეფექტურ ინტეგრირებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების პოლიტიკაში.

## კონტექსტი

2012 წლის ბოლოს საქართველოში პირველად მოხდა ხელისუფლების შეცვლა დემოკრატიული გზით. საპარლამენტო არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ოპოზიციურმა კოალიციამ შექმნა ახალი მთავრობა. ბუნებრივია, რომ ამ ცვლილებამ გავლენა იქონია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროზე (MoCMP), რომელიც ახალი თანამშრომლებით დაკომპლექტდა. მოგვიანებით, 2014 წელს სამინისტროში კიდევ ერთხელ მოხდა ცვლილებები მინისტრის და მისი მოადგილეების დონეზე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში, რომელიც წინა მმართველი უმრავლესობის მიერ იქნა მიღებული, წარმოადგენს საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს უფლებამოსილება ეზღუდება, პრემიერ-მინისტრს კი, ეზრდება.

## შემუშავებული და შემუშავების პროცესში მყოფი კულტურის პოლიტიკა

2013 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა კულტურის პოლიტიკის კონცეფციაზე. კულტურის პოლიტიკის კონცეფციის პროექტი შეიმუშავა შეიქმნა ადგილობრივმა ექსპერტმა და წარუდგინა სამინისტროს.<sup>1</sup> საქართველოში პირველად შეიქმნა ასეთი სახის დოკუმენტი, რომელიც განიხილავს ფუნდამენტურ კულტურულ ფასეულებებს და ამავდროულად, წარმოადგენს წინადადებებს საქართველოში კულტურის განვითარების ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა კონცეფცია კითხვარების და კულტურის სექტორის წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრების საფუძველზე, მაგრამ 2014 წლის დასაწყისში სამინისტროს უმაღლესი მენეჯმენტის შეცვლის შემდეგ, კულტურის პოლიტიკის კონცეფციაზე მუშაობა შეწყდა და დოკუმენტის პროექტს არანაირი განვითარება არ მოყვა და შესაბამისად, არ მოხდა მისი ოფიციალურად მიღება შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ. ახალმა მინისტრმა მოახდინა საქართველოს კულტურის სტრატეგიის შემუშავების ინიცირება. სტრატეგიის მომზადების პროცესში ხდება 2013 წლის კონცეფციის პროექტის გამოყენება. ახალი ინიციატივის პროცესში გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის (სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება) ჩართვა და მათთან კონსულტაციების გამართვა ისეთი შედეგის მისაღწევად, რომელიც მისაღები იქნება როგორც მთავრობისათვის, ასევე კულტურის სექტორის უმეტესი წარმომადგენლებისათვის. ამ მიზნით, შეხვედრები შედგა შესაბამისი დარგის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან, რომლებთანაც სამინისტრომ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით.<sup>2</sup> ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის ექსპერტი, რომელიც დაიქირავა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის რეგიონალური მონიტორინგისა და ორგანიზაციული განვითარების ჯგუფმა (RMCBU) აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში, დახმარებას და რეკომენდაციებს უწევს სამინისტროს და კულტურის სექტორის წარმომადგენლებს ამ პროცესში. 2015 წლის 30 იანვარს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გეგმავს საჯარო ღონისძიების ჩატარებას კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელზეც მოწვეული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ მე-2 დოკუმენტს წარმოადგენს კანონი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2014), რომელიც ეხლა მზადდება, და რომელიც სპეციალურ რეგულირებას აწესებს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მართვასთან დაკავშირებით. ეს და კანონი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (პროექტი მომზადდა 2013 წელს) სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განხილვის პროცესშია.

<sup>1</sup> <http://www.culture.ge/01.pdf>

<sup>2</sup> <http://www.culture.gov.ge/topicdetails-11.12028.html>

ამ პერიოდში მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტების მაგალითებია: საქართველოს კინოსექტორის ეკონომიკური რუკის კვლევა, რომელიც განახორციელა საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა (2012)<sup>3</sup>, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ხელნაკეთი შემოქმედებითი სექტორის კვლევა, რომელიც ჩაატარა საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა (2012)<sup>4</sup>, და *გზა მომავლისკენ* საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სექტორის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მოამზადა ICOMOS საქართველომ (2014)<sup>5</sup>.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული *საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის ახალი კოდექსი* კრძალავს გამონაკლისების/ცვლილებების შეტანას ქალაქმშენებლობით ჩარჩო გეგმებში. "ნებისმიერი ცვლილება ქალაქმშენებლობის პროცესში შეიძლება მოხდეს მხოლოდ ფართო საზოგადოების ჩართულობით. კოდექსის საჯარო განხილვებში მონაწილეობა ბევრმა პროფესიონალმა მიიღო. იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის საბოლოო ვარიანტში მაქსიმალურად ასახულია სპეციალისტების შენიშვნები, გაზიარებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პოზიცია და მოხდა მისი დროულად დამტკიცება, კოდექსი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სააკონომდებლო გარემოს ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით" (2014)<sup>6</sup>.

პედაგოგებისთვის UNESCO/ICCROM-ის დამხმარე სახელმძღვანელოს "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა"<sup>7</sup> ქართულ ენაზე გამოქვეყნება 2014 წელს შეიძლება განხილული იქნეს როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი საშუალო სკოლის პროგრამაში კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ინტეგრაციის კუთხით. სახელმძღვანელოები დაურიგდა სკოლის ისტორიის პედაგოგებს და მუზეუმებს საქართველოს ყველა რეგიონში და ამჟამად, ხდება მათი პილოტური გამოყენება.

2013 წლის სექტემბერში საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია "კულტურა ეკონომიკური განვითარებისათვის – თანამედროვე ტენდენციები და ახლებური მიდგომა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში". კონფერენცია ჩატარდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში: "ტრადიციული რეწვა- ერთიანი პლატფორმა განვითარებისათვის, შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში". კონფერენციაზე განხილეს კულტურის როლი ეკონომიკაში და კულტურის სფეროს პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების ეფექტურ განვითარებას სამხრეთ კავკასიაში.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ახალი კანონი პროფესიონალურ თეატრებზე (2013) "ხედმეტად აძლიერებს შემოქმედებითი ღირებულების უფლებამოსილებას, რამაც შეიძლება მომავალში გამოიწვიოს პრობლემები მენეჯმენტთან და თანამშრომლებთან დაკავშირებით"<sup>8</sup>. აუცილებელია დაკვირვება თუ რა პოზიტიურ და ნეგატიურ ცვლილებებს გამოიწვევს ეს კანონი.

საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, 2014 წელს საქართველომ გააფორმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ასევე, ეხება თანამშრომლობას კულტურის სფეროში ( ტავი 17). ხელშეკრულების 362-ე მუხლის მიხედვით, (...) თანამშრომლობა მხარეებს შორის

<sup>3</sup> [http://www.qnfc.ge/uploads/files/BOP\\_Mapping\\_\(En\\_Cor\).pdf](http://www.qnfc.ge/uploads/files/BOP_Mapping_(En_Cor).pdf)  
<sup>4</sup> <http://gaccgeorgia.org/Crafts/GACC%20Crafts%20Sector%20Study.pdf>  
<sup>5</sup> [http://rcchd.icomos.org.ge/img/multimedia/pub\\_1417006877535314.pdf](http://rcchd.icomos.org.ge/img/multimedia/pub_1417006877535314.pdf)  
<sup>6</sup> [http://rcchd.icomos.org.ge/img/multimedia/pub\\_1417006877535314.pdf](http://rcchd.icomos.org.ge/img/multimedia/pub_1417006877535314.pdf)  
<sup>7</sup> [http://www.rcchd.icomos.org.ge/img/multimedia/pub\\_1403596509723149.pdf](http://www.rcchd.icomos.org.ge/img/multimedia/pub_1403596509723149.pdf)  
<sup>8</sup> <http://www.culturalpolicies.net/web/profiles-news.php?cat=0&cid=1180>



ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ამ პროცესში ევროკავშირის და საქართველოს კულტურის სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მეშვეობით". 363-ე მუხელში ჩამოთვლილია თანამშრომლობის შემდეგი ძირითადი სფეროები:

- (ა) კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურული გაცვლები;
- (ბ) ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობა და კულტურის სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება;
- (გ) კულტურათაშორის დიალოგი;
- (დ) კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგი ; და
- (ე) თანამშრომლობა საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, როგორებიცაა იუნესკო (UNESCO) ევროპის საბჭო, რათა, *inter alia*, ხელი შეუწყოს კულტურულ მრავალფეროვნებას, შენარჩუნდეს და სათანადოდ განვითარდეს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებანი.

### ძირითადი ცვლილებები, რომლებმაც გავლენა იქონიეს კულტურის სექტორზე

2012 წლის ბოლოს დაფუძნდა ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტის (ICBS) საქართველოს ეროვნული კომიტეტი. ზემოაღნიშნული საერთაშორისო კომიტეტის მიზანს წარმოადგენს კულტურული ფასეულობების დაცვის ხელშეწყობა (როგორც ეს განსაზღვრულია ჰააგის კონვენციაში<sup>9</sup> <http://www.ancbs.org/cms/index.php/en/about-us/hague-convention>) ნებისმიერი სახის საფრთხისგან და სტრატეგიულ ჩარევას შესაბამისი უფლებამოსილი პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებში ბუნებრივი და ადამიანების ქმედებების გამო გამოწვეულ კატასტროფებზე რეაგირების და თავის არიდების მიზნით. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული კომიტეტი მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ბუნებრივი და ადამიანების ქმედებების გამო გამოწვეულ კატასტროფებისგან, რისკისათვის მზადყოფნისა და რისკის მართვის გეგმების შემუშავებას კულტურული დაწესებულებებისათვის, საგოზადოების ცნობიერების ამაღლებას და 1954 წლის ჰააგის ორივე პროტოკოლის განხორციელების ხელშეწყობას, რათა საქართველოს მოსახლეობამ მოახდინოს სათანადო რეაგირება იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება დაემუქროს კულტურულ მემკვიდრეობას ბუნებრივი და ადამიანების ქმედებების გამო გამოწვეული კატასტროფების დროს.

2013 წელს საქართველო, ასევე, გაწევრიანდა შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის UNESCO-ის მთავრობათაშორისო კომიტეტში. კომიტეტის წევრობა (4 წლის ვადით) და მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა დაადასტურება ქვეყნის ინტერესს UNESCO-ის ჰააგის კონვენციის (1954) და მისი მე-2 პროტოკოლის განხორციელებაში.

კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კონტექსტში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ამ ცვლილების შედეგად, სააგენტო პასუხისმგებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში არსებულ უმეტეს საკითხებზე, როგორცაა ძეგლების ინვენტარიზაცია, საქმიანობის დაგეგმარება, სახელმწიფო შესყიდვების მართვა, მონიტორინგი, კვლევები, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს უფლებები და მოვალეობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით მინიმალურია

<sup>9</sup> შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობათა დაცვის შესახებ კონვენცია და მისი შესრულების რეგულაციები (ჰააგა, 14.05.1954), [http://portal.unesco.org/en/ev.php-URL\\_ID=13637&URL\\_DO=DO\\_TOPIC&URL\\_SECTION=201.html](http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=13637&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html)

და დაგეგმილია სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის რესტრუქტურისაცია.

ეკონომიკის სექტორის განუწყვეტელმა ზეწოლამ კულტურულ მემკვიდრეობაზე გამოიწვია დამატებითი ნეგატიური ცვლილებები, მაგ., კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილება, რომლის მიხედვით შესაძლებელია ძეგლის სტატუსის მოხსნა<sup>10</sup>. ზემოაღნიშნული ცვლილების მიხედვით, გამარტივებულია ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლისათვის სტატუსის მოხსნის წესები სახელმწიფო მნიშვნელობის განსაკუთრებულ და სპეციალურ შემთხვევებში<sup>11</sup>. საზოგადოებამ აღიქვა ეს ცვლილება როგორც სერიოზული საფრთხე, რომელიც შეიძლება დაემუქროს ძეგლთა სიაში შეტანილ უმეტეს ძეგლს, რამაც გამოიწვია სერიოზული კამპანია ამ ცვლილების წინააღმდეგ. კამპანიის შედეგად, კანონპროექტის განხილვა პარლამენტში შეჩერდა, მაგრამ კანონში შესატანი ცვლილებები ეხლაც პარლამენტშია.

სხვა ნეგატიურ ცვლილებებს შორის, რომლებიც განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირების და მართვის საკითხებში, არის სამინისტროში ექსპერტთა ჯგუფის გაუქმება (რომელიც მინისტრს კონსულტაციებს უწევდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ძეგლის სტატუსის მინიჭება და გაუქმება, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში ძეგლების ნომინაცია და სხვა) და მისი ჩანაცვლება უწყებათაშორისო კომისიით, რომლის წევრები არიან ეკონომიკის, ფინანსთა, რეგიონალური განვითარების, კულტურის და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და არა დარგის სპეციალისტები. ზემოაღნიშნული ცვლილება გახდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პროტესტის საგანი, რადგანაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2007), რომლის მიხედვითაც "კომისიის წევრები უნდა იყვნენ დარგის ექსპერტები და საზოგადო მოღვაწეები."

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სხვადასხვა ძალისხმევა განხორციელდა კულტურის სექტორის ეკონომიკური პოტენციალის და მისი ეკონომიკური განვითარების გეგმაში გათვალისწინების შესახებ ინფორმირების კუთხით. ამ საკითხზე 2013 წლის ივნისის თვეში თბილისში ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი კონფერენცია სამინისტროების დონეზე და მრგვალი მაგიდის შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს კულტურის სექტორისა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა. ეს არის ორი დამატებითი მაგალითი ზემოაღნიშნულ კონფერენციის "კულტურა ეკონომიკური განვითარებისათვის".

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კულტურის პოლიტიკის იტერირება სხვა პოლიტიკაში და სტრატეგიებში კვლავ ღია საკითხად რჩება. ახლადშექმნილი დოკუმენტები, როგორცაა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020<sup>11</sup> (მომზადდა 2014 წელს) და განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (2014)<sup>12</sup> საერთოდ არ განიხილავენ კულტურის სექტორთან დაკავშირებულ საკითხებს.

კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნება, ახალი ინიციატივები და თანამშრომლობა კულტურის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის პროექტების ფარგლებში. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა 15 პროექტი კულტურის სხვადასხვა სფეროში. ზოგიერთი მათგანის განხორციელების შედეგად შემუშავდა კულტურის პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტები და კვლევები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შეიქმნა პლარფორმა თანამშრომლობისათვის და ერთობლივი ძალისხმევით, რაც

<sup>10</sup> <http://www.culture.gov.ge/topicdetals-11.9190.html>

<sup>11</sup> [http://www.economy.ge/uploads/news/qiorqi\\_kvirkashvili/Strategy2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/news/qiorqi_kvirkashvili/Strategy2020.pdf)

<sup>12</sup> <https://drive.google.com/file/d/0B5HrVifwNkFpTDhYt1ScTdwZ0E/view?pli=1>

მათ დაახლოების და კულტურის სექტორის უფრო ეფექტური ადვოკატირების საშუალებას აძლევს.

ევროკავშირის კიდევ ერთი ინსტრუმენტი, Twinning (დაძმობილების) პროექტი ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციურ განვითარებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ეკლესიას და სახელმწიფოს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება საეკლესიო კულტურული ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით. ამ კუთხით დადებით ნაბიჯად განიხილება მემორანდუმის გაფორმება ეკლესიას და სააგენტოს შორის. პროექტის კიდევ ერთი მოსალოდნელი შედეგის სარესტავრაციო სამუშაოებისთვის სახელმწიფო შესყიდვების გაუმჯობესება და ტენდერის საფუძველზე კვალიფიცირებული კომპანიის შერჩევა.

ბოლო წლების პოზიტიური განვითარების მაგალითია კულტურის სფეროში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება. მაგალითად, საყდრისის საქმემ გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილის მობილიზაცია, რამაც გარკვეული ზემოქმედება იქონია ამ საქმეზე. ეს შემთხვევა დაკავშირებულია პრეისტორიულ ოქროს მაღაროსთან, რომელსაც კულტურული ძეგლის სტატუსი გააჩნდა 2006 წლიდან და რომელიც ზოგიერთი ექსპერტის აზრით, წარმოადგენს მსოფლიოში უძველეს ოქროს მაღაროს. სხვა ექსპერტები არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას და 2012 წელს მას მოეხსნა ძეგლის სტატუსი ოქროს მომპოვებელი კომპანიის ზეწოლის შედეგად, რომელიც გეგმავდა სამუშაოების ჩატარებას ამ უძველეს ძეგლის ტერიტორიაზე. საყდრისის ძეგლის სტატუსის დაცვასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინა რამდენიმე საქმე, რომლებიც ჯერ კიდევ წარმოებაშია, მაგრამ 2014 წლის ბოლოს მთავრობამ მიანიჭა ნებართვა ზემოაღნიშნულ კომპანიას, ეწარმოებია სამუშაოები საყდრისის ტერიტორიაზე და მან მალევე დაიწყო საყდრისის ნგრევა. ამ საქმის კონტექსტში მოხდა სხვა საკითხების საჯარი განხილვა, როგორცაა გამჭირვალეობის არარსებობა პრივატიზაციის მომენტში საკუთრების გადაცემასთან და იმ პირების ვინაობასთან დაკავშირებით, რომლებიც რეალურად ფლობენ კომპანიას, გარემოს დაცვის საკითხები იმ მეთოდებთან დაკავშირებით, რომლებსაც კომპანია იყენებს სამუშაოების განხორციელების დროს, მთავრობის მიერ წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება იმ სანქციების გარეშე, რომლებიც შეიძლება სახელმწიფომ დააკისროს მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ამ უძველეს ძეგლთან დაკავშირებულმა მოვლენებმა მოახდინეს მცირე და ძლიერი, ახალი და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კულტურის სფეროში მოქმედი და იურიდიული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონსოლიდაცია. დაიყო ბევრი ახალი მოძრაობა და ინიციატივა, რომელთა ფარგლებში მოხდა მცირე ზომის. მაგრამ მნიშვნელოვანი საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება მთავრობის სადაო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რომლებიც კულტურის სექტორის წარმომადგენლების მიერ ზოგიერთ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო ქმედებად განიხილებოდა. ზემოაღნიშნული საქმე შეიძლება მთავრობისათვის ლაკმუსის ტესტად აღმოჩნდეს, რომელიც ნათლად დაანახებს საზოგადოებას, თუ რა დონით ასრულებს მთავრობა თავის დანაპირებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვასთან და გამჭირვალე მმართველობასთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც გახდა კონფლიქტის საგანი ეკონომიკურ განვითარებას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას შორის, გახლავთ უდიდესი სამშენებლო პროექტი "პანორამა თბილისი". მისი განხორციელება დაგეგმილია თბილისის ისტორიულ ცენტრში და ითვალისწინებს სამი ბიზნესცენტრის მშენებლობას, ორი მათგანის – ისტორიულ ცენტრში, მესამესი კი, სოლოლაკის ფერდობის რეკრიაციულ ზონაში ისტორიული უბნის ზემოთ. ბიზნესცენტრების დაკავშირება ერთმანეთთან საბაგირო გზებით მოხდება. კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებმა და

საზოგადოების ჯგუფებმა ეს პროექტი ნეგატიურად შეაფასა. მიუხედავად მათი პროტესტისა და თბილისის მთავრობაში წარდგენილი განცხადებისა, ქალაქია საკრებულომ 2014 წლის 30 დეკემბერს დაჩქარებულად მიიღო გადაწყვეტილება სოლოლაკის ფერდობისათვის რეკრეაციული სტატუსის მოხსნის შესახებ.

საყდრისის საქმეს და პროექტს "პანორამა თბილისი" წინააღმდეგობაში მოჰყავს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და დაცვა ეკონომიკურ განვითარებასთან იმის მაგივრად, რომ ამ კუთხით შექმნას ერთობლივი ძალისხმევა, რასაც საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებენ. მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების მიერ გაკეთებული განცხადებები ნათლად აჩვენებენ, რომ მათ არ ესმით და არ არიან ინფორმირებულნი კულტურული მემკვიდრეობის რესურსების პოტენციალზე ეკონომიკური განვითარების (გრძელვადიან) პროცესში. უფრო მეტიც, ეს ეწინააღმდეგება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებზეც საქართველომ ხელი მოაწერა, და რომლებიც სახელმწიფოსგან მოითხოვენ ძეგლების დაცვას, კულტურის სექტორის ინტეგრაციას ეროვნული განვითარების პოლიტიკაში და ეწინააღმდეგებიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული მოვალეობების გადახედვას ან უგულველყოფას ეკონომიკური ხასიათის მიზეზებით<sup>13</sup>.

<sup>13</sup> დეტალური ინფორმაციისათვის, იხილეთ შემდეგი კონვენციები:

- კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (პარიზი, 16.11.1972; საქართველოში ამოქმედდა 04.02.1993), მე- II თავი "კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ეროვნული და საერთაშორისო დაცვა", მე-4 მუხლი, <http://whc.unesco.org/archive/convention-en.pdf>
- კონვენცია კულტურული თვითგამოსატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ (პარიზი, 20.10.2005; საქართველოში ამოქმედდა 01.10.2008), მე-13 მუხლი "კულტურის ინტეგრაცია მდგრად განვითარებაში", <http://www.unesco.org/new/en/culture/themes/cultural-diversity/diversity-of-cultural-expressions/the-convention/convention-text/>
- ჩარხო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების შესახებ (ვეროვის საბჭო, ფარო, 27.10.2005; საქართველოში ამოქმედდა 01.06.2011), მე-10 მუხლი "კულტურული მემკვიდრეობა და ეკონომიკური საქმიანობა", <http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/199.htm>